



ASSOCIATION **GEORGIENNE** EN FRANCE

საფრანგეთში მყოფ ქართველ  
ლტოლგილთა სათვისტომო

Fondée en 1921

დაფუძნდა 1921წ.

პარიზი, 12 ნოემბერი 2017წ

## #RetrouveTaGeorgie

1918 - 2018

დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავი

მომავალ წელს საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავს აღნიშნავს. 1918 წლიდან 2018 წლამდე გავიდა 100 წელი, და ამ ხნის მანძილზე ქართველ ერს მხნეობა არ დაუკარგავს, უარი არ უთქვამს თავისუფლებაზე, არ შეუწყვეტია ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

მთელი ამ წლების მანძილზე "ემიგრაციაში მყოფმა" ჩვენმა ბებიებმა და ბაბუებმა, ჩვენმა მშობლებმა შეძლეს ქართული ტრადიციების და დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს სიმბოლოების შენარჩუნება. ამ სიმბოლოებიდან უპირველესია 26 მაისი, რომელიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში აერთიანებდა ქართულ "კოლონიას" საფრანგეთში.

**დღეს ჩვენ გთავაზობთ, რომ ეს ღირსშესანიშნავი დღე ყველამ ერთად აღვნიშნოთ თბილისში. ამგვარად ასი წლის შემდეგ "კვანძი შეიკვრება".**

გადაწყვეტეთ თბილისის მიმართულებით თვითმფრინავის რეისის დაჯავშნა. გამგზავრება ივარაუდება მაისის ბოლო რიცხვებში. ამ პერიოდისთვის ჩვენ ასევე დაჯავშნით ნომრებს თბილისის 2 სხვადასხვა კატეგორიის სასტუმროში.

ცხადია "ოფიციალური" მიღებები და სხვა სახის ღონისძიებები წინდაწინ იქნება დაგეგმილი.

შეგიძლიათ, გვაცნობოთ დაგაინტერესებთ თუ არა ასეთი პერსპექტივა და შეგვიძლია თუ არა გიგულისხმობთ სავარაუდო წამომსვლელებს შორის ?

ცხადია საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რაც შეიძლება სწრაფად გამოგიზავნით თვითმფრინავის და სასტუმროსთვის საჭირო ხარჯების ნუსხას. რაც უფრო მალე გვეცოდინება წამომსვლელთა ზუსტი რაოდენობა, მით უფრო გაგვიადვილდება ფასების დაზუსტება. შესაძლოა აგრეთვე, ზოგიერთი თხოვნა იყოს ისეთი, რომ მისი შესრულება ვერ შევძლოთ.

ოთარ ზურაბიშვილი

გთხოვთ შეავსოთ შემდეგი კითხვარი



კითხვარი (ამ კითხვარზე პასუხი არ წარმოადგენს ვალდებულებას)

**1. თქვენ ხართ**

- ძალიან დაინტერესებული
  - სახელი, გვარი
  - კოორდინატები- ინტერნეტის და მობილურის :
- მაინტერესებს, მაგრამ ჯერ არ ვიცი
- არ მაინტერესებს

**2. დაინტერესებული პირების რაოდენობა**

**3. გამგზავრების თქვენთვის სასურველი თარიღი :**

- პარასკევი 18 მაისი
- სამშაბათი 22 მაისი
- პარასკევი 25 მაისი

**4. უკან დაბრუნებულს თქვენთვის სასურველი თარიღი :**

- სამშაბათი 29 მაისი
- პარასკევი 1 ივნისი
- სამშაბათი 5 ივნისი
- პარასკევი 8 ივნისი

**5. თუ გსურთ სასტუმროს დაჯავშნა**

მიუთითეთ ფასის დიაპაზონი (სასტუმროს ნომრის ერთი ღამის საშუალო ფასი) :

- არ გსურთ სასტუმროს დაჯავშნა
- 60 ევროს ქვემოთ
- 60 ევროდან არაუმეტეს 100ევროსი.
- 100 ევროზე მეტი

**6. განსაკუთრებული შენიშვნები**

მადლობას გიხდით პასუხების გამოგზავნისთვის.

[o.zourabichvili@georgie-agf.eu](mailto:o.zourabichvili@georgie-agf.eu) - საფოსტო მისამართი : 3, rue de l'Asile – 78400 CHATOU